კონსტრუქციული დასკვნა მდგრადობაზე და სამშენებლო პროცესების შესაძლო ზეგავლენა მეზობელ შენობებზე

საპროექტო შენობა მდებარეობს ძველი თბილისის რაიონში ჩეხოვის შესახვევი №7 –ში. საპროექტო შენობა შენდება არსებულ ისტორიულ ნაგებობაზე, რომლის სარდაფის სართული და საძირკველი კარგ კონსტრუქციულად მდგრად მდგომარეობაშია, გამაგრებას მოითხოვს მხოლოდ სარდაფის მეორე მაღალ დონეზე მდებარე კედლები.

პროექტში მოცემულია საძირკვლების გამაგრების კონსტრუქცია, რომელიც ხორციელდება, როგორც წიბოვანი საძირკვლის რკინაბეტონის კონსტრუქციის ფილა. მის შემდეგ ხორციელდება დაშენების სამუშაოები დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის მიხედვით.

ჩვენი შენობა შედის სასტუმრო კოპალას კომპლექსში, იგი ქუჩის მეორე მხარეს მდებარე შენობას უკავშირდება საფეხმავლო ხიდით.

არსებული სიტუაციის კონსტრუქციის აღწერა.

მოგახსენებთ, რომ დაპროექტებული შენობა მდებარეობს ძველი თბილისის ისტორიულ უბანში და შედის სასტუმრო კოპალას კომპლექსში, რომლებიც სხვადასხვა დროს აგებული ნაგებობების ერთობლიობას წარმოადგენს. საპროექტო შენობას ერთი მხრიდან ესაზღვრება აგურის წყობის მასიური ისტორიული საყრდენი კედელი, რომელთანაც ჩვენს შენობას კავშირი არა აქვს, გამოყოფილია მისგან, საპროექტო შენობის მზიდი კედლები ცალკე მდგომია ამ საყრდენი კედლისაგან.

საპროექტო შენობა ყველა სხვა მხრიდან შემოფარგლურია ქუჩით, მეზობელი შენობა, რომელსაც იგი საფეხმავლო ხიდით უკავშირდება ქუჩის მეორე მხარეს მდებარეობს და შესაბამისად საპროექტო შენობასთან კონსტრუქციული კავშირი არა აქვს.

1. შენობა, რომელსაც საპროექტო შენობა საფეხმავლო ხიდით უკავშირდება წარმოადგენს ისტორიულ ძეგლს და მას გასულ წლებში ჩაუტარდა აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები სრულყოფილად, დღეისათვის ის კონსტრუქციულად მდგრად მდგომარეობაშია, არ აღენიშნება ჯდენები და დეფორმაციები.
2. საპროექტო შენობას და არსებულ შენობას შორის ქუჩაა, რომლის თავზეც ორ შენობას შორის პროექტით მოწყობილია საფეხმავლო ხიდი.
3. ამ ხიდის კონსტრუქცია მონოლითური რკინაბეტონისაა, რომელსაც არსებულ შენობასთან ახლოს საყრდენად აქვს ლითონის კონსტრუქციის სვეტები. საფეხმავლო ხიდის კონსტრუქცია არსებულ შენობასთან არ არის კავშირში, საყრდენი სვეტების ქვეშ საძირკვლები წერტილოვანია და არსებული შენობისგან დამოუკიდებლად არის განლაგებული.
4. საფეხმავლო ხიდის ფილა არსებული შენობიდან ჯდენის საწინააღმდეგო ნაკერით არის გამოყოფილი.

შენობის კონსტრუქციული ხარვეზების აღწერა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, სასტუმრო კომპლექსი კოპალას შემადგენილი ნაგებობები აშენებულია სხვადასხვა მასალითა და სხვადასხვა დროს, თავისი დროისათვის შესაბამისი ნორმებითა და ტექნოლოგიებით. მიუხედავად ამისა შენობებს არ აღენიშნება სერიოზული ჯდენები და დეფორმაციები, გარდა საპროექტო შენობის სარდაფს ზედა ნაწილისა, რომელიც მთლიანად იშლება სარდაფის თაღოვან გადახურვამდე. პროექტში წარმოდგენილია დასატოვებელი ნაწილის გამაგრების სამუშაოების პროექტი დაშენებასთან ერთად.

კომპლექსში შემავალი მეორე შენობა ისტორიული ნაგებობაა, რომელსაც წინა წლებში გაუკეთდა საფუძვლიანი გამაგრება, რესტავრაცია და დღეისათვის დამაკმაყოფილებელ კონსტრუქციულად მდგრად მდგომარეობაშია..

ჩასატარებელი სამუშაოების შესაძლო ზეგავლენა მეზობლ;ად არსებულ შენობა ნაგებობებზე

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

1. საპროექტო შენობას უშუალოდ ესაზღვრება მხოლოდ ისტორიული აგურის წყობის საყრდენი კედელი, რომელთანაც მას კონსტრუქციული კავშირი არა აქვს, მისგან გამოყოფილია ნაკერით.
2. სასტუმრო კომპლექსში შემავალი მეორე შენობა, რომელსაც საპროექტო ნაგებობა უკავშირდება საფეხმავლო ხიდით, მდებარეობს ქუჩის მეორე მხარეს და შესაბამისად სამშენებლო სამუშაოები მასზედ ზეგავლენას ვერ იქონიებენ.
3. საფეხმავლო ხიდი, რომელიც მეორე სართულის დონეზე აკავშირებს ამ ორ შენობას, წარმოადგენს დაპროექტებული შენობის განუყოფელ ნაწილს, რომელსაც ქუჩის მეორე

არსებულ შენობასთან კონსტრუქციული კავშირი არ აქვს, მისგან გამოყოფილია ჯდენის საწინააღმდეგო და სეისმური ნაკერით.

4. მაგრამ მიუხადავად ამისა აუცილებელია უსაფრთხოების მაქსიმალური ზომების მიღება და მათი დაცვა სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელ პერიოდში.

ხსენებული პირობების და მოთხოვნების გათვალისწინებით ჩატარებული სამუშაოების შედეგად სასტუმრო კომპლექსი კოპალას შენობების ჩვეულ რეჟიმში ექსპლოატაცია შესაძლებელი იქნება.

ინჟინერ-კონსტრუქტორი /ი. კევლიშვილი/

გამოყენებული ლიტერატურა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია, თბილისი 1992 წ.140 გვ.

1. Снип 03.01.84- ბეტონისა და რ.ბ.ს კონსტრუქციები. 1985წ
2. Снип II А. 12.69 – строительство в сеисмическиых раионах, часть II, глава 12.
3. სეისმომედეგი მშენებლობა პნ 01.01-09.

თბილისი 26. 04. 2021 წ